

შპს "ვიტამინი 2017" 2020 წლის ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	კომ.	31.12.20	31.12.19
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულადი ექვივალენტები	1	459,835.42	360,078.86
მოკლევადიანი მოთხოვნები	2	4,119,118.33	7,153,828.16
მარაგები		1,905,635.31	683,637.27
სხვა მიმდინარე აქტივები	3	34,725.59	4,832.75
		6,519,314.65	8,202,377.04
გრძელვადიანი აქტივები			
წმინდა ძირითადი საშუალებები	4	239,646.23	295,671.42
გაცემული სესხები		207,733.43	588,613.43
		447,379.66	884,284.85
		6,966,694.31	9,086,661.89
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები	5	2,293,165.71	700,128.40
მიღებული სესხები		2,344,373.29	5,810,919.32
გადასახადები		122,875.47	-
		4,760,414.47	6,511,047.72
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		22,270.00	87,570.00
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		2,184,009.84	2,488,044.17
		2,206,279.84	2,575,614.17
		6,966,694.31	9,086,661.89

დირექტორი
ი. ბატიაშვილი



ბუღალტერი
ი. ხალატიანი

საქმიანობის შედეგები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	კომ	2020	2019
ამონაგები მომსახურების გაწევიდან		49,170,840.56	37,051,379.64
მომსახურების თვითღირებულება		(45,218,916.60)	(33,018,614.63)
საერთო მოგება		3,951,923.96	4,032,765.01
სხვა შემოსავლები	6	183,829.78	56,500.61
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1,122,637.30)	(1,051,691.73)
ცვეთა და ამორტიზაცია		(73,484.95)	(55,325.38)
იჯარის ხარჯი		(779,240.15)	(617,758.10)
გადახდილი პროცენტები		(143,175.52)	(338,040.50)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(1,335,706.65)	(490,294.63)
საოპერაციო მოგება		681,509.17	1,536,155.28
მოგება/ (ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(969,601.40)	(215,291.36)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		(288,092.23)	1,320,863.92
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(288,092.23)	1,320,863.92
საკუთრი კაპიტლი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		2,575,614.17	1,421,950.81
საწესდებო კაპიტალი		(65,300.00)	30,570.00
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-	(147,578.95)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(15,942.10)	(50,191.61)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-	-
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2,206,279.84	2,575,614.17

დირექტორი
ი. ბატიაშვილი



ბუღალტერი
ი. ხალატიანი

1. კორპორატიული სტრუქტურა

შპს “ვიტამინი 2017“ (ს/ნ 400184910) დაფუძნებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონის შესაბამისად 2016 წლის 20 სექტემბერს.

კომპანიის ფაქტიურუ მისამართია: ქ. თბილისი, გაგრის ქ. #2.

კომპანიის ბიზნეს საქმიანობაა ბანანითა და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტით ვაჭრობა.

2. მომზადების საფუძვლები

ფისკალური წელი

მენეჯმენტის მიერ კომპანიის ფისკალურ წლად მიჩნეულია კალენდარული წელი რომელიც მოიცავს პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს.

შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა.

სამუშაო და ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი რადგან, იგი როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, სრულად ასახავს კომპანიის მიერ განხორციელებული ოპერაციების ეკონომიკურ არსს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნით ქართული ლარი არის ანგარიშგების ვალუტა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული წინარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში და მას მუდმივად იყენებს კომპანია.

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხორციელდება ამ თარიღისთვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებულ ფულად აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის სხვაობა პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით კონვერტირებულ ღირებულებას შორის.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული არაფულადი აქტივების და ვალდებულებების სამუშაო ვალუტაში კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულებით აღრიცხული არაფულადი ერთეულების კონვერტაცია ხდება ოპერაციის განხორციელების დღისათვის დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ნაღდ ფულს, მიმდინარე საბანკო ანგარიშებს და იმ საბანკო დეპოზიტებს რომელთა დაფარვის ვადა 3 თვეზე ნაკლებია.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები რომელიც აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს, თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით რაც მოიცავს აქტივის აღიარების დღეს გადახდილ ფულს ან ფულად ექვივალენტს, ტრანსპორტირების და დატვირთვა-ჩამოტვირთვის, აგრეთვე სამუშაო მდგომარეობაში მოყვანისათვის საჭირო სხვა დანახარჯებს. თავდაპირველი აღირების შემდეგ აქტივი ფასდება თვითღირებულებით რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა იწყება ძირითადი საშუალების შეძენის მომენტიდან, ან აშენებული აქტივების შემთხვევაში, იმ დროიდან, როდესაც აქტივი დასრულებულია და მზად არის გამოსაყენებლად. კომპანიას განსაზღვრული აქვს ძირითადი საშუალებებისთვის სასარგებლო გამოყენების შემდეგი ვადები:

ავეჯი და ინვენტარი
მანქანა-დანადგარები უზრუნველყოფა
ოფისის აღჭურვილობა
ავტომობილები

3 - 5 წელი

5 წელი

3 - 5 წელი

5 - 7 წელი

ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულება აისახება საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით.

შესყიდული კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება იმ დანახარჯების საფუძველზე, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

ამორტიზაცია აისახება მოგება ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ცალკეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების მიახლოებითი ვადები 5-დან 10 წლამდე პერიოდს შეადგენს.

კაპიტალი

კაპიტალი მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს და აკუმულირებულ მოგება/(ზარალს).

გადასახადები

გადასახადები კანონით დადგენილი სავალდებულო შენატანები სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტებში რომელიც ამოიღება გადასახადით დასაბეგრი ბაზიდან დადგენილი განაკვეთის მიხედვით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი დივიდენდად გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ მოგებას განსაზღვრავს როგორც პარტნიორზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. გარდა დივიდენდის გაცემისა, ადგენს აგრეთვე სხვა ოპერაციებსაც რომლებიც მიიჩნევა მოგების განაწილებად.

შემოსავლების აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაითვლება ფასდათმობები.

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება დაითვალოს;
- როცა შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იყოს შეფასებული;

ხარჯის აღიარება

ხარჯების აღიარება მოგებაში ზარალში ხდება დარიცხვის პრინციპით.

5 ფინანსური ანგარიშგების კომენტარები

კომ.1 ფული და ფულადი ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები	2020	2019
ნაღდი ფული	54,735.80	216,270.23
ფული ბანკში	405,099.62	143,808.63
	459,835.42	360,078.86

კომ. 2 მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	2020	2019
მოთხოვნები მიწოდებიდან	3,670,573.75	3,672,892.12
გადახდილი ავანსები	50.00	3,445,936.04
მოკლევადიანი სესხები	448,494.58	35,000.00
	4,119,118.33	7,153,828.16

კომ. 3 სხვა მიმდინარე მოთხოვნები

სხვა მიმდინარე აქტივები	2020	2019
წინასწარ გაწეული ხარჯები	3,000.00	3,000.00
მისაღები პროცენტები	31,725.59	1,832.75
	<u>34,725.59</u>	<u>4,832.75</u>

კომ. 4 ძირითადი საშუალებები

	31.12.2019	წმინდა ცვლილება	31.12.2020
ისტორიული ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	59,676.15	10,981.80	70,657.95
მანქანა დანადგარები	158,655.64	-	158,655.64
სატრანსპორტო საშუალებები	185,562.79	(4,654.28)	180,908.51
არამატერიალური აქტივები	1,067.80	-	1,067.80
	<u>404,962.38</u>	<u>6,327.52</u>	<u>411,289.90</u>
აკუმულირებული ცვეთა			
ოფისის აღჭურვილობა	(39,178.63)	(7,624.97)	(46,803.60)
მანქანა დანადგარები	(24,581.66)	(30,745.55)	(55,327.21)
სატრანსპორტო საშუალებები	(45,102.23)	(23,886.29)	(68,988.52)
არამატერიალური აქტივები	(428.44)	(95.90)	(524.34)
	<u>(109,290.96)</u>	<u>(62,352.71)</u>	<u>(171,643.67)</u>
საბალანსო ღირებულება			
ოფისის აღჭურვილობა	20,497.52	3,356.83	23,854.35
მანქანა დანადგარები	134,073.98	(30,745.55)	103,328.43
სატრანსპორტო საშუალებები	140,460.56	(28,540.57)	111,919.99
არამატერიალური აქტივები	639.36	(95.90)	543.46
	<u>295,671.42</u>	<u>(56,025.19)</u>	<u>239,646.23</u>

კომ. 5 მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები	2020	2019
მომწოდებლები	2,265,954.50	660,061.50
გადასახდელი ხელფასები	27,211.21	40,066.90
	<u>2,293,165.71</u>	<u>700,128.40</u>

კომ. 6 სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლები	2020	2019
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	38,226.96	1,832.75
საპროცენტო შემოსავლები დეპოზიტებიდან	3,025.09	-
საპენსიო ფონდიდან მიღებული	-	6,580.60
სხვა	142,577.73	48,087.26
	<u>183,829.78</u>	<u>56,500.61</u>